ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3663139

ნომერი: AR1551773

თარიღი : 24.10.2017

გაცემის თარიღი : 08.11.2017

გაცნობის თარიღი : 10.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N5ბ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ა.პოლიტკოვსკაია , N 5ბ , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 24 ოქტომბერს #AR1551773 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ #01.14.05.006.058 (ფართობი:696 კვ.მ) საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება) მიზნით დამტკიცდა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2017 წლის 3 მაისის №3231930 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.05.006.105; ფართობი 339 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882016425909; რეგისტრაციის თარიღი: 08/07/2016 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882016554226, რეგისტრაციის თარიღი 25/08/2016 წ.).
ამის შემდგომ, ისევ მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილება შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს ხსენებული ცვლილების ასახვას 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. ამასთან, 2017 წლის 24 ოქტომბერს #AR1551773 განცხადებით წარმოდგენილია შპს „ტორნადო“-ს (მიწის ნაკვეთის მესაკუთრის) თანხმობა 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი რეგისტრაციის ნომერი #882017964934; რეგისტრაციის თარიღი 08/07/2016 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882016554226, რეგისტრაციის თარიღი მომზადების თარიღი: 16/10/2017 წ.), საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: 01.14.05.006.116, ფართობად: 370 კვ.მ.;

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 აგვისტოს №1211 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.